ხუთშაბათი 1919 წ. აპრილის 10 № 79

წელიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ. აპრილის 10 № 79

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

10 აპრილს, 12 საათზე

ფაშნარის ძმათა სასაფლაოზე

ოზურგეთთან ოსმალებთან ბრძოლის დროს

დახოცილ მეომართა

ხსოვნის ალსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას ოზურგეთის ერობის გამგეობა ქალაქის თვითმართველობა და ძეგლის ამგები კომიტეტი

2—2283—2

ივანე, გიორგი, მიხეილი ნიკოლოზის ძენი, მარია ალექსის ასული კვეზერელი—კოპაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს გადახდილი იქმნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათ დაუვიწყარ დისა, მულისა და მამიდისა

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასულისა

ბარათაშვილის

ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.

2—112—1

1-ლი სამილიციო უბნის მილიციონერები და კანცელარიის მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 8 აპრილს, სალამოს 10 საათზე ტრაღიკულათ დაიღუპა თავის სამსახურის ასრულების დროს ამავე სამილიციო უბნის უმცროსი მილიციონერი და ადგილობრივ კოლექტივის თავმჯდომარე ძვირფასი ამხანაგი

იოსებ იაგორის-ძე წიქარიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

—2288—1

რესტორანი პ ა რ ი ზ ი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით. (მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

ხასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—19 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება სალამოობით 6-დან 7 საათ.

25—39—13

პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში მაღაზია № 20

გაიხსნა სპეც. საათების, საიუველირო და საჩუქართმო

სახელოსნო

ყოფილ სამხედრო მესაათის

მიხეილ ნიკოლოზის ძე გენკინისა.

ყოველი შეკვეთილი საქმე კეთდება საჩქაროდ, სუფთად და ხელმისაწვდომ ფასებში.

5—45—3

ი ყ ი დ ე ბ ა

ოსმალური აბრეშუმის თესლი

სულ ახლა [illegible]ტანილი

კონსტანტინოპოლიდან

მისამართი: პუშკინის ქ., ქარვასლა. კაფე—„გრეცია“. იკითხეთ ა. პანაიოტი.

4—2277—3

12 აპრილი

„საქართველოს“ რედაქციის მხატვრული სალამო

სურათები, შარჟები, ახალი სანახაობა

საუკეთესო არტისტიული ძალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული

თბილისი სალამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

კონსერვატორიის დარბაზი

17 აპრილი

ტიციან ტაბიძის

პოეზიის სალამო

არტისტიულ საზოგადოების თეატრი

პირველად!!! ხუთშაბათს, 10 აპრილს პირველად!!!

ქ-ნთ ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ნ. ჯავახიშვილის, ვასო აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მ უ ს ი კ ი თ

აშუღ-ყარიბი

ცეკვა-სიმღერებით წაიკითხეთ აფიშები

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 10 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

აბესალომ და ეთერი

12 აპრილს „ბატერფლეი“ და „მეფისტოფელი“.

დასაწყისი სალამოს 7 ნახ. საათზე.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს სალამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—19

## ართაანის ლიკვიდაციისათვის

ახალციხის მხარეში არ გვისვენებენ. ათიოდე დღის სიწყნარის შემდეგ ფოცხოვის რაიონიდან აპრილის ოთხს კვლავ შემოგვიტიეს და დაიჭირეს ახალციხის მაზრის რამოდენიმე სოფელი. ჩვენი ჯარი იძულებული იყო სამხედრო მოქმედება გაეშალა. აპრილის ექვსს მოწინააღმდეგეს მიაწვა, დაატოვებინა რამოდენიმე სოფელი და 60 კაცი დაუტყვევა. აპრილის შვიდს სოფელ ენიკევის რაიონში მტერს სამი ზარბაზანი წაართვა. ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ასეთია მოკლე რელაცია ახალციხის რაზმის უფროსის, გენერალ კვინიტაძისა.

ამგვარად, ახალციხის ფრონტი გაცხოველდა. გაზაფხულზე თარეში გაადვილდა და არტაანის მხარიდან მუდმივი თავდასხმა მოგველის. საქართველოს მთავრობა იძულებულია ახალციხის მაზრაში თავმოყრილი ჯარი იყოლიოს, რომ საპასუხო სამხედრო მოქმედება არ დაუგვიანდეს. ასეთ პირობებში ინიციატივა ყოველთვის არტაანის ასკერებსა და მოთარეშე ბანდებს რჩება. საქართველომ კი თავმოყრილი ჯარი გამუდმებით საომარ მდგომარეობაში უნდა იყოლიოს და პასიურ თავდაცვისა და მოგერიების გზაზე იდგეს. ასეთი გარემოება ჯერ ერთი აუარებელ ხარჯებს მოითხოვს და მეორე, ძალზედ გვიმცირებს სხვა ფრონტებზე თავისუფლად მოსახმარ ჯარის კონტინგენტს.

საერთოდ კი, მეტად შეუფერებელ ატმოსფერასა ჰქმნის სახელმწიფოს ცხოვრებისათვის.

ქართველი საზოგადოების პსიხოლოგიური ნერვიულობა და სულიერი მღელვარება ამ საგანზედ მით უფრო ბუნებრივია, რომ საქართველოს დღემდე ხელფეხი შეკრული აქვს, რომ არტაანის მოთარეშე და მოუსვენარი ბანდები ერთხელ და სამუდამოდ ალაგმოს. საამისო ფიზიკური ძალა შეგვწევს. საჭიროა მხოლოდ ჩვენს ჯარს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცეს, რომ არტაანში წესიერება დამყარდეს და მთელს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში ანარქია და შეიარაღებული თავდასხმა ალიკვეთოს. ეს კი დღემდე შეუძლებელი გამხდარა. სანამ ასე გაგრძელდება, სამხრეთიდან საქართველოს მოსვენება არ მიეცემა და ყოველი ჩვენი საერთაშორისო გართულება ყოველთვის დიდის ოსტატობით იქნება გამოყენებული „სამხრეთ-დასავლეთის ახალი სახელმწიფოს მიერ“.

ასეთი ანორმალური ვითარება შედეგია იმ გარემოების, რომ არტაანი ფაქტიურად თავის პოლიტიკას თვით აწარმოებს, ხოლო იურიდიულად იგი ინგლისის გავლენის ზონაშია მოქცეული. ფაქტიური როლი და იურიდიული უფლებრივობა და პასუხისმგებლობა აქ დაშორებულია ერთმანეთზე.

ახალციხეში დამარცხებულ „არტაანის ჯარს“ თვით არტაანის ოლქში ვერ შევზდევთ, რადგან ამითვე ინგლისის უფლებრივ გავლენის ზონას შევეხებოდით და ეს კი უსიამოვნებას გამოიწვევდა.

ასეთ პირობებში „არტაანის მთავრობას“ ყოველთვის შეეძლება ახალ ახალი ბანდები შეადგინოს და საქართველოზე განუწყვეტლივი თავდასხმა აწარმოვოს.

აშკარაა, თუ რა გზით შეიძლება „არტაანის ჯარის“ თარეშის და ავანტიურის ლიკვიდაცია. ან ინგლისის სარდლობამ საკუთარის ძალით არტაანის ოლქში წესიერება უნდა დაამკვიდროს და შეუძლებელი გაჰხადოს „არტაანის ჯარის“ მობილიზაცია, ან და საქართველოს ჯარს უნდა მიეცეს ამის უფლება.

მოკლეთ, ინგლისმა არტაანში თავის დროებით უფლებრივ ბატონობას, ფაქტიური ბატონობაც უნდა შეუკავშიროს, ან ჩვენ დაგვაყენოს პირისპირ „არტაანის ჯართან და მთავრობასთან“.

დღეს არსებული ვითარების გაგრძელება შეუწყნარებელია, თუ არ გვსურს მუდმივი ანარქია და სისხლის ღვრა.

## ოსურ საფრთხეზე

საქართველოს რესპუბლიკის მტრებს ანგარიში წაუხდათ. მთელი მათი ყურადღება მიმართული იყო დამფუძნებელი კრების ჩაშლისათვის;

როცა იმედი დაკარგეს, რომ ამას ვერ მოახერხებდენ აირჩიეს ბოიკოტის გზა... და დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სთქვეს, და ამის სასარგებლოთ აგიტაციასაც ეწეოდენ... მაგრამ როცა საქართველომ სძლია გარეშე შემოსეულ მტრების საფრთხე შინაური მტრებიც შეჩერდენ. მაგრამ, როგორც ეტყობა ეს გაჩერება არ იქნება საბოლოვო.

საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის ბრძოლაში ყველაზე უფრო მწვავეთ ახსოვს ოსების ამბოხება. ამ ამბოხებამ ყველაზე მეტი მსხვერპლი შეიწირა და დიდხანს არ დაივიწყებს საქართველო ამ უმადურობას.

გაზაფხულის დაწყებისას ოსებს კიდევ მოუნდომებიათ ახალი ავანტიურის დაწყება და თუ ეს ახალი საფრთხე ამ თავითვე არ იქნა მოკვეთილი შეიძლება წარსულ სამწუხარო ამბებზე უფრო სამწუხარო შედეგამდე მიგვიყვანოს. სამხრეთ ოსების ნაციონალურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების დასწრებით გადაუწყვეტია მოწვეულ იქნას სამხრეთ ოსეთის ნაციონალური საბჭო ამ წლის 1 მაისიდან 1 ივნისამდე.

არჩევნები მოხდეს ფარული, პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი კენჭის ყრის საფუძველზე, წინადადება მიეცეს ყველა პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს თავიანთი კანდიდატების სიები წარადგინონ ნაციონალურ საბჭოში არა უგვიანეს 12 აპრილისა...

ამ ამბავმა არ შეიძლება გაუგებრობა არ გამოიწვიოს, როგორც ეტყობა სამხრეთ სომხეთის საბჭოს გადაუწყვეტია თავისი დამფუძნებელი კრების მოწვევა თუმცა რეზოლუციაში არ არის ამაზე გარკვევით ლაპარაკი.

ჩვენ ბევრჯერ გვქონია შემთხვევა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა საზოგადოთ საქართველოში არსებულ ეროვნულ საბჭოებზე და კერძოთ სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოზე.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო თავიდანვე ოპოზიციაში უდგა საქართველოს, არავისთვის დაფარული არ არის, რომ ეს საბჭო მთავარი შტაბი იყო და აწყობდა ამბოხებას; საქართველოს წინააღმდეგ და სისხლში გაბანა თავის ტერიტორია. წინათ თუ კიდევ ჰქონდა რაიმე აზრი საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალურ საბჭოების არსებობაში, იმის შემდეგ რაც საქართველომ დამფუძნებელი კრება მოიწვია და იძლევა როგორც ფაქტიურ ისე კონსტიტუციონურ გარანტიებს—ეროვნულ უმცირესობათა უფლების დასაცავად, ნაციონალურ საბჭოების არსებობას აზრი ეკარგება... მით უმეტესს მიუღებელია მათი პოლიტიკური პრეტენზიები. და სამხრეთ ოსეთის საბჭოს დადგენილება უნდა განხილული იქნას, როგორც არა კანონიერი გამოსვლა, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს რესპუბლიკას.

როცა საქმე შეეხება ისეთ ფაქტს, რომელსაც შეუძლია არა სასურველი პრეცედენტი შეჰქნას და ახალი სისხლის ღვრა გამოიწვიოს გაფრთხილება თავიდანვე საჭიროა... ამიტომ ჩვენმა მთავრობამ ამ მუქარას უნდა შეებრძოლოს სახელმწიფოებრივი საშუალებით.

„ერთობა“ მორიგ მეთაურში ეხება ამ საკითხს, ანიშნავს ოსების უკანონო

# უკანასკნელი ცნობები

ოდესის მცხოვრებნი ზეიმით ხვდებიან საბჭოთა ჯარს.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო [illegible] ითხოვს მინისტრების ადგილზე დაინიშნებიან ხალხის რწმუნებულნი—კომისრები.

1914 წლის შემდეგ საფრანგეთში სოციალისტების პირველი საჯარო მანიფესტაცია მოხდა.

რადგან ვილსონი ავად არის და ლოგინში წევს, ოთხთა საბჭო მასთან იკრიბება. იხილავენ ზარალის ანაზღაურების საკითხს.

ვილსონმა თავის თანამშრომლებს განუცხადა, რომ არ უნდა იქნას მიღებული ისეთი დადგენილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ყველას მიერ აღიარებულ პრინციპებს და რომ იგი ბოლომდის დაიცავს 14 მუხლის სავსებით განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კონფერენციას მიატოვებს.

ოსმალეთი ყველა მოთხოვნილებებზე თანხმდება მოკავშირეებს, გარდა სტამბოლის დათმობისა.

---

გადაწყვეტილებას, და იმის მაგიერ რომ მთავრობას მოსთხოვოს ზომების მიღება ამ ახალი ამბოხების დასაწყისის სალიკვიდაციოთ... საქმეს ისე ამარტივებს რომ ურჩევს თავიანთ პარტიულ ამხანაგებს ოსების სოციალ-დემოკრატებს გავლენა მოახდინონ ეროვნულ საბჭოზე, ხელმეორეთ შევიდენ საბჭოში, რომელსაც ერთხელ ბოიკოტი გამოუცხადეს და ამით ხელი ააღებინონ ახალ ავანტიურაზე.

ასეთ დროს საქმის ასე გამარტივება დანაშაულს უდრის, ჩვენ საკმაოთ დავრწმუნდით, რომ ოსების სოციალ-დემოკრატები მენშევიკების ტიპის (ამდენხანს მთელი ოსეთი ბოლშევიზმის ნიშნით მიდიოდა) მოკლებული არიან საშუალებას, იმოქმედონ ოსების უმრავლესობაზე. და აქედან ყოველ შემთხვევაში რეალური შედეგი ის იქნება, რომ ჩვენ მალე დავრწმუნდებით რომ ოსების ამბოხება ფაქტი იქნება. რადგან ჩვენ სხვანაირათ არ შეგვიძლია გავიგოთ ოსების საბჭოს უკანასკნელი დადგენილება, თუ არა მოწოდება აჯანყებისკენ.

ამ საქმეს მეტი დაკვირვება სჭირია, და მთავრობაც ალბათ ანგარიშს გაუწევს წარსულის გამოცდილებას...

## რა უნდა იყოს კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის საგნად?

ახლო მომავალში განზრახულია ჩვენს დედაქალაქში კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა.

ეს იდეა ახალი არ არის. საქართველოს მთავრობა იმ თავითვე ზრუნავდა მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევისათვის, მაგრამ ამ იდეამ მიზანს ვერ მიაღწია უმთავრესად სომხეთის შეურიგებლობისა და აგრესსიულ პოლიტიკის გამო.

შემდგომში კავკასიის ერთა კონფერენციის წინააღმდეგ ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ პარიზის საერთაშორისო კონგრესსი პირველ ყოვლისა განიხილავს ახალ სახელმწიფოთა საკითხს და მათი ბედიც სავსებით იქ გადასწყდებაო.

ასეთი იმედი ჩვენ ილლიუზიად მიგვაჩნდა ყოველთვის: ჩვენ მაშინაც ვამბობდით და დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო კონგრესზე ახლად აღმოცენებულ მრავალ სახელმწიფო ერთეულების საკითხი განიხილება მხოლოდ პრინციპიულად! დეტალების გამორკვევისათვის პარიზში შეკრებილი დიპლომატები ვერ მოიცლიან.

კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა იმის მაჩვენებელია სწორედ, რომ ახალი სახელმწიფონი თვითონ უნდა ცდილობდნენ შინაურ საქმეების მოწესრიგებაზე და დიდ სახელმწიფოთა წინაშეც უნდა წარსდგნენ წინდაწინვე შეთანხმებულნი ყველა სადავო და წვრილმან საკითხებში.

უმთავრესი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაჭრას და რომლის გამო ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის დაუსრულებელი დავა და უთანხმოება დღიდან მათი განცალკევებისა,—არის ტერრიტორიის საკითხი, მათ შორის სახელმწიფო საზღვრების გამიჯვნა. ამ საკითხში შეთანხმებაზე და მის საბოლოო გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ახალ სახელმწიფო ერთეულების შორის ფრიად სასურველი მეგობრული განწყობილება და საზოგადოდ წესიერი საერთაშორისო დამოკიდებულება, და ჩვენ დაიმედებული ვყავით, რომ სწორედ ეს საგანი იქნებოდა კონფერენციის მუშაობის ღერძი.

მაგრამ ჩვენი წინამოსაზრება არ გამართლდა: ოფიციოზურ სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ცნობით, კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია განიხილავს განსაკუთრებით საფინანსო, სარკინის გზო და სატრანსპორტო საკითხებს და შეეცდება მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიურ დაახლოვების საშუალების გამოძებნას ობიექტიურ პირობათა მიხედვით.

„ერთობა“ დიდად კმაყოფილია კონფერენციისათვის დასახულ გეგმით და კიდევაც აღნიშნავს, რომ ტერრიტორიის საკითხის გადადება ჯერ-ჯეროbით სასურველიაო; სოციალ-დემოკრატიული გაზეთი იმ გარემოებას კი სრულებით არ უწევს ანგარიშს, რომ უპირველესი მიზეზი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შორის დაუმთავრებელ კონფლიქტებისა და შეიარაღებულ შეტაკებისა ჩამოყალიბებულ საზღვრების დაუდებლობაშია. შეთანხმება და შეკავშირება ყველა სხვა საკითხებში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მნიშვნელოვანი სადაო საკითხი გადაწყვეტილია.

არ ვიცით, როგორ მოახერხებენ ჩვენი მმართველები მეზობელ სახელმწიფოებთან თუნდაც სარკინის-გზო საკითხში შეთანხმებას, როდესაც სარკინისგზო ადგილის ნაწილები ზოგი „ნეიტრალურ“ ზონად არის გამოცხადებული, ხოლო ზოგის შესახებ გარკვეული პრეტენზიებია წამოყენებული...

როგორცა სჩანს პოლიტიკური მესვეურნი ჯერ კიდევ ოცნებობენ, „ვინმე მესამის“ საშუალებით დავის დასრულებაზე. მათ ავიწყდებათ მხოლოდ ის, რომ ესოდენი ხნით გადადება საზღვრების და საზოგადოთ სანაპირო კუთხეების გამოურკვეველ მდგომარეობისა მეტის-მეტად აბრკოლებს კავკასიის რესპუბლიკათა ნორმალურ სახელმწიფოებრივ განვითარებას და თითქმის შეუძლებლადა ჰყოფს მათ დაახლოვებას.

მაშასადამე, კავკასიის სახელმწიფოებმა თვითონ უნდა გამონახონ საფუძველი მათ შორის კეთილ-განწყობილების დასამყარებლად და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერიტორიის საკითხის დროზე გადაჭრით ამ სახელმწიფოთა ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულების შესაძლებლობას უმთავრესი დაბრკოლება ჩამოეცლება,

ამ საგნის გარეშე, კონფერენციის მომავალი მუშაობა ყოვლად უმწეოდ და უშედეგოთ გვესახება ჩვენ. ლაპარაკი სხვა საკითხების გარშემო საკმაოდ ბლომა ყოფილა უწინაც, მაგრამ საქმეს კი არა ეშველა-რა, რადგანაც შუღლისა და უთანხმოების ფაქტორი კვლავინდებურად უძლეველი რჩებოდა.

მწარე გამოცდილებას, ეტყობა, ვერ გამოუსწორებია ილლუზიებით შეპყრობილი ადამიანები! დღესაც ძველებური საზომით ხელმძღვანელობენ და დაგმობილსა და უვარგის მეთოდს ხელახლა ანაღდებენ.

ეს თათბირიც დასრულდება, ისევე როგორც არა ერთი წინა თვეებისა, მაგრამ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შეთანხმება მაინც ფიქტიური იქნება.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ფინანსიურ და სარკინისგზო-სატრანსპორტო შეთანხმებას ჩვენ უმნიშვნელო მოვლენად ვთვლიდეთ; ჩვენის აზრით, კავკასიის მეზობელ სახელმწიფოთა შორის კონვენციების დადება აუცილებელია სხვა მრავალ საგანზე კიდევ, მაგრამ ვიდრე უუმნიშვნელესი სადავო საკითხი გადაუჭრელია, **ვიდრე კავკასიის რესპუბლიკები სახელმწიფო საზღვრების საკითხში არ შეთანხმებულან**, რაგიანი მეზობლური დამოკიდებულება მათ შორის ყოვლად წარმოუდგენელია.

ამ გარემოებაზე გვსურს ერთხელ კიდევ შევაჩეროთ პოლიტიკის სათავეში მყოფ პარტიის ყურადღება და [illegible]

რ. ინგილო.

## სკოლის რეორგანიზაციისათვის

4.

განათლების სამინისტროსაგან მოწყობილი სარეორგანიზაციო კომისია დღემდის განაგრძობს მუშაობას, ე. ი. დღემდის იკრიბება და სასკოლო საკითხებზე მსჯელობს და თათბირობს. ამბობენ, ვითომც სკოლის მომავალ ტიპის შესახებ გადაჭრილი დაადგენილებაც გამოიტანესო. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, თუ რისთვის არის ასეთი საიდუმლოებით მოცული ამ კომისიის მუშაობა! რა არის დასმულ საკითხში დასამალი? პირიქით, ამ საკითხის გარშემო სამინისტროს უნდა შემოეკრიფა ყველა ცოცხალი და ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი ინტელიგენტური ძალები, ყველა საქართველოს სკოლის ბედით დაინტერესებული ინტელიგენტი.

ამავე მიზნით მას უნდა მიემართა ქართველ მასწავლებელთა ორგანიზაციებისათვის: დაბალ და საშუალო სკოლების კავშირებისთვის; მხოლოდ ეს წინადადება - შეკითხვები უფრო პროფესსიონალურის დეტალურის და რეალურის ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, სამინისტრო რომ ასე მოქცეულიყო, უსათუოდ გაჩაღდებოდა სკოლის საკითხის გარშემო სერიოზული შემოქმედებით, მუშაობა.

დაიწერებოდა და წაიკითხებოდა ბევრი მოხსენება და რეფერატი. ბევრი საინტერესო მასალა თავს მოიყრიდა. ამ საერთო მუშაობაში და კოლექტიურ შემოქმედებაში ჩვენი მომავალი სკოლის ტიპიც.

მხოლოდ ასეთი წინასწარი მომზადების შემდეგ უნდა გასძღოლოდა სამინისტრო საქმეს. საჭიროების მიხედვით უნდა შეექმნა მას სამუშაო აპარატიც. დარწმუნებული ვართ, სამინისტროს რომ ამ წესით და მეტოდით ემუშავნა, მაშინ მისგან შემდგარ კომისიაში სულ სხვა პირნი შევიდოდნენ და, მაშასადამე, სულ სხვანაირი ხასიათის და შინაარსის მუშაობა გაჩაღდებოდა. მაშინ პროვინცია, რომელსაც დღეს წარმომადგენელი არა ჰყავს კომისიაში, თავის საუკეთესო მუშაკებს გამოუგზავნიდა დედა-ქალაქს. დღეს კი თვით ქუთაისს, ამ ყოველთვის უგრძნობიარეს ნერვს ჩვენის ეროვნულ არსებობისა და მისი ეროვნულ შეგნების მებაირაღტარე და დამსახურებულ მასწავლებლებს არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავსთ იმ იმ კომისიაში, როგორც უნდა გადასწყვიტოს ბედი მომავალი ქართულ სკოლისა!

იმედია, რომ სამინისტროს ახალი შემადგენლობა არსებითი შეასწორებს მაინც უკვე უკულმართად მოწყობილ სკოლის სარეორგანიზაციო აპარატში და მით გამოასწორებს მოსალოდნელ ეროვნულ მარცხს.

იპ. ვართაგავა.

## მესხეთ-კლარჯეთის დამხმარე საზოგადოება

ამ ბოლო დროს ბნელი ძალების წყალობით ქართველ ერს კიდევ ახალი გაჭირვება მოემატა. მესხეთ-ჯავახეთში არეულობამ გაანადგურა ხალხი, ბევრი უბინაოდ დარჩა, ბევრი მშიერი და გაჭირვებული. საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება, საჭიროა ერთხელ კიდევ მთელმა საქართველომ თავისი გულშემატკივრობა და გულუხვობა გამოიჩინოს. სწორედ ამ მიზნისთვის დღეს მოწვეულია კრება, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ რა საშუალებით დავეხმაროთ ჩვენ გაჭირვებულ ძმებს. ქართველ ერს მეტად მძიმე მოვალეობა აწევს მრავალტანჯულ და ჩამორჩენილ კუთხის გამოცოცხლებაში. ოდესღაც საქართველოს მოწინავე კუთხე, აყვავებული ყოველმხრივ დღეს მეტად ჩამორჩენილი და განკერძოებულია.

ამას კიდევ ზედ დაუმატეთ მრავალ გზით აწიოკება და თქვენ თვალწინ გადაიშლება მეტად მძიმე ნახატი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი ერი გაითვალისწინებს ასეთ უმწეო მდგომარეობას ჯავახეთ-მესხეთისას, აგრეთვე იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც ამ კუთხეს აქვს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და მრავლად დაესწრება დღევანდელ კრებას, რათა საერთო ძალით ხელი გავუმართოთ ჩვენ გაჭირვებულ ძმებს.

პეტრე სურგულაძე.

## მესხეთ ჯავახეთისთვის

მოწოდება საზოგადოებისადმი

ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოს [illegible] ნაწილი, ძველი მესხეთი და ჯავახეთი [illegible] ცეცხლში გახვეულა. ჩვენი კულტურის [illegible] ტი, საუკუნოების განმავლობაში ითელებოდა ოსმალეთის ტლანქი ქუსლებით, რამაც დასცა მესხეთის კულტურა, ნანგრევებათ აქცია თვალწარმტაცი კუთხე და მესხ-ჯავახელებს წილათ ხვდა დაუსრულებელი ტანჯვა და ცრემლები.

დღეს ეს მხარე საშინელ სურათს წამოადგენს. მთელი ჯავახეთი გაძარცული და ნახევრათ გადამწვარია. ოსმალებმა გაზიდეს ჯავახელთა ოფლით მონაგარი სარჩო-საბადებელი, ცეცხლსა და მახვილს მისცეს გლეხკაცობის სახლ-კარი, ხოლო მრავალი ამოწყვიტეს და უსუსური ბავშვები ობლებათ დაყარეს.

არა ნაკლები დღე დაადგა ახალციხის მაზრას. ჯერ იყო და შარშან სრულიად გაანადგურეს ოსმალეთის ჯარებმა 15 ქართული სოფელი. ნაწილი ქართველობისა ჯავახეთით ბაკურიანის ტყეებში შეეხიზნა. ხოლო მეორე ნაწილი დარჩა ხვთის ანაბარათ ოსმალთა ხელში, რომელთა ცხოვრება ექვსი თვის განმავლობაში წარმოადგენდა საწამებელ საკანს.

ჩვენმა ისტორიულმა მტრებმა ესეც არ იკმარეს. ბაკურიანის ტყეებში დამზრალ ლტოლვილები, უპატრონო ობლები, გაეშურენ თავის კარ-მიდამოში, მარა ფოცხოვი ავანტიურამ ერთხელ კიდევ აწამა ისედაც უსაზღვროთ გაწამებული ხალხი. დღეს დარბეულთ და უპატრონოთ ქართველი-მუსლიმანებიც მიემატნენ.

ყველა ამათ დახმარება უნდათ.

ეხლა თესვის დროა, მიწები უნდა დამუშაონ, რომ მომავალში კიდევ შიმშილში არ ჩასცვივდეს ხალხი.

მთავრობამ გადასწყვიტა ყოველმხრივათ შეეცადოს განაწამებ ხალხის ტკივილების განკურნვას, დაეხმაროს მათ რითაც კი შეგვიძლია.

მარა მარტო ეს არ კმარა. ორი დიდი მაზრა, ორი უმდიდრესი კუთხე საქართველოსა დღეს იღუპება და მას უდაბნოთ გადაქცევა მოელის, თუ ჩვენ დროზე არ მივეშველეთ. ობოლი ბავშვების ცრემლიანი ვედრება ცას სწვდება, გლოვის ზარი გაისმის ამ ოდესღაც მხიარულ და მომხიბლველ კუთხეში.

ქართველმა საზოგადოებამ აქ ჩვეულებრივი გულმხურვალებით და გატაცებით უნდა მოჰკიდოს ხელი თავისივე ძმების შიმშილისაგან დახსნის საქმეს. საზოგადოებრივი ინიციატივამ უნდა გამოიჩინოს აქ თავი, რომ მთავრობას საშუალება მისცეს გადაარჩინოს ეს მხარე შიმშილით სიკვდილს.

აი სწორედ ამ მიზნით ჩვენ განვიზრახეთ თბილისში და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში **„მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის“** დაარსება, რომლის დანიშნულება იქნება დაუყოვნებლივ ზომები მიიღოს დამშეულთა გამოსაკვებათ.

**დღეს ხალამოს ექვს საათზე, გოლოვინის პროსპეკტზე, სახლი № 24, იქ, სადაც მე[illegible]მართა დამხმარე კომიტეტი იყო მოთავსებული, არის დანიშნული „მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის“ დამფუძნებელი კრება.**

ჩვენ მივმართავთ საზოგადოებას თხოვნით, რომ ყველა იმას, ვისაც შესტკივა გული ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მხარეზე და ამ საქმეში შეუძლია რაიმე დახმარება გაგვიწიოს, მობრძანდეს დანიშნულ საათზე ამ ბინაზე, რომ სასწრაფოდ შევუდგეთ საქმეს და ხალხი შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ.

მოქალაქენო, მესხეთი და ჯავახეთი შველას ითხოვს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხელაწვდილი ობლები უპატრონოთ დაძრწიან დანგრეულ სოფლებში და პური უნდათ.

მანდილოსნებო, თქვენ არა ერთხელ მოვლინებიხართ მხსნელებათ ობლებსა და უპატრონოთ. დაწყებული აჭარიიდან ვიდრე ომში დაღუპულთა ოჯახებამდე, თქვენ მიდიოდით ამ უპატრონო ხალხთან და მშობლიურ დახმარებით უმსუბუქებდით მწარე ტკივილებს. მესხ-ჯავახელებიც დღეს ასეთ შველას ითხოვენ თქვენგან.

არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს „მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის“ დაარსების დღეა. მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

დამფუძნებელი კრების წევრები: **ი. გომართელი, პ. სურგულაძე. ქ. შარაშიძის ასული, ლ. რუხაძე, ოსმან მიქელაძე.**

## მთავრობის წრეებში

3 მარტის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**დამფ. კრებ. მთავრობის ადგილების განაწილება.**

[illegible] წარმომადგენლოთათვის მიჩნეული 15 ადგილი კი განაწილდეს უწყებათა შორის შემდეგ ნაირად:

1. მთავრობის საქმეთა მმართველობისათვის—1, 2. საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის—1, 3. შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის—1, 4. მიწადმოქმედების სამინისტროსათვის—1, 5. შრომის სამინისტროსათვის—1, 6. განათლების სამინისტროსათვის—1, 7. რკინის გზის სამინისტროს—1, 8. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველ.—2, 9. სასურსათო საბჭოსათვის—1, 10. სახელმწიფო კონტროლისათვის—1, 11. იუსტიციის სამინისტროსათვის—1, 12. სამხედრო სამინისტროსათვის—2.

**ბათუმის ახლად-გახსნილ საავადმყოფოსათვის**

წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს ნაწილობრივ დახმარება აღმოუჩინოს ბათუმის ახლად გახსნილ საავადმყოფოს.

**ფოთის პორტის უფროსის დანიშვნა.**

დროებით, ფოთის პორტის უფროსად. დაინიშნოს უფროსი ლეიტენანტი თაყაიშვილი, რომლის ხელშიაც უნდა გადავიდეს მმართველობა, როგორც სამხედრო ისე სავაჭრო პორტისა. იმის გამოსარკვევად თუ რომელი უწყების ხელში უნდა იქნეს ფოთის პორტი შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია სამხედრო, ფინანსთა (თავმჯდომარე) და გზათა მინისტრის შემადგენლობით.

**ომში დახოცილ და უნარ-დაკარგულ ოჯახთათვის.**

დაევალოს სამხედრო მინისტრს ახლო მომავალში წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი 1919 წ. 31 იანვარს დროებითი წესების სა ერთოდ ყველა, სამშობლოს დაცვისა და რეაქციასთან ბრძოლის დროს დახოცილ და უნარ დაკარგულთა ოჯახების დახმარების შესახებ.—

სანამ ასეთი კანონი გამოიცემოდეს, უფლება მიეცეს სამხედრო მინისტრს ხსენებულ ოჯახებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.

**ომის დროს დაზარალებულ მცხოვრებთათვის**

შესდგეს განსაკუთრებული კომისია სამხედრო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელთაგან. ომების დროს ჯარის მიერ მცხოვრებთათვის მიყენებულ ზარალის გამოსარკვევად და მათ დასაკმაყოფილებლად.

**სამხედ. სამინ. საადმინისტრაციო განყოფილებას.**

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 35,725 მ. სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსის განკარგულებაში ჯარის კაცთა სამსახურის აღნუსხვის ფურცლების დასაბეჭდად.

**ტყეთა მომწყობ კომისიებისათვის**

სანამ ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდებოდეს გადაიდოს 10 მილიონ. ფონდიდან 50,000 მ. ტყეთა მომწყობ კომისიების სასარგებლოდ.

**სახელ-სამოქ. დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის.**

სახელმწიფო-სამოქალაქო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ჯამაგირების განზრახულ მომატების დამტკიცებამდე მიეცეთ მათ, რომელთაც ამ წელში ჯამაგირები არ მომატებიათ აპრილში მომატებითი 300-300 მან.

— ამით გამოირკვა ხარჯები დაიფაროს სახელმწიფო ხაზინის ნაღდი თანხიდან. სახელმწიფო ხაზინა ვალდებულია ამ დადგენილების ძალით გამოწერილი ჯამი გაიღოს კრედიტის გაუხსნელად.

— ამის შესახებ კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრებაში შეიტანოს შრომის მინისტრმა.

აგრეთვე ახლო მომავალში შეტანილ იქმნას შრ. მინისტრის მიერ კანონ პროექტი 2,000,000 მ. გადადების შესახებ მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროებით საგნების შეღავათიან ფასებში შესაძენად.

## კასპიის ზღვაზე

ინგლისური ცნობა.

დიდი ბრიტანიის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობა, აცხადებს, რომ დიდი ბრიტანეთის საზღვაო შტაბის ბრძანებით—ყველა [illegible]გემები, რომელნიც კი იდგებიან პეტროვსკ—ფორტ—ალექსანდროვსკ[illegible] [illegible]

პოლკ. ბრიუნი.

## ჰუნგრეთის ბოლშევიზმი

ჰუნგრეთის დელეგაცია [illegible] მინისტრ [illegible] რათა მან წინადადება მისცეს [illegible] ჩეხო-სლოვაკებს [illegible] შინაურ საქმეებში ჩაერიენ და დაიჭიროს ბუდაპეშტი, რომელიც დღე დღეზე ელის ჩეხო სლოვაკების გაწვრთნილ ლაშქარს.

ჰუნგრეთის დელეგატებმა განაცხადეს რომ, რამდენიმე ასეულ კომუნისტებს გარდა იარაღ-აყრილი ბუდაპეშტი შიშით ჰრთრთის ბოლშევიკურ ტერორის წინაშე. ბუდაპეშტის გარეშე, სადაც ნაძირალნი თარეშობენ, ბოლშევიზმს არა აქვს არავითარი ნიადაგი.

ბუდაპეშტის დაჭერა საბედისწერო მახვილს დასცემს ბოლშევიკებს. დელეგატები ირწმუნებიან რომ მოსახლეობა ჩეხო სლოვაკებს შეუერთდება კომუნისტების წინააღმდეგ.

## ბრძოლის ველზე

ოპერატიული ცნობა. 7 აპრილი. ახალციხის რაზმის სარდალი გენერალი კვინიტაძე იტყობინება, რომ თათრებმა კვლავ გადმოლახეს ჩვენი საზღვარი ფოცხოვიდან და საომარი მოქმედება დაიწყეს. 4 აპრილს შეიარაღებული თათრობა ჩამოეშვა მთებიდან დაიჭირა სოფელი ხონა, რომელიც ახალციხის მაზრის ტერიტორიაზეა. ახალციხელი რაზმელები იძულებულ იყვნენ 6 აპრილს გადასულიყვნენ შეტევით და განდევნეს რა მტერი, დაიჭირეს სოფლები: ჯაგსმონი, ჭილვანა, პეტროუბანი. წამოიყვანეს 60-მდე ტყვეც მათ შორის არტანუჯელი მეომრებიც არიან.

შვიდ აპრილს ჩვენმა ნაწილებმა წაიწიეს სამხრეთეთით. 12 საათზე დაიჭირეს ენიგეევი, ჩანჩქარი, საკირე. ენიგეევის არემარეში სამი ზარბაზანი წამოვიღეთ. დიღურში მოსახლეობამ მოჰკლა ასკერების სარდალი მუსაკიევი. ასკერებმა შური იძიეს და მოჰკლეს დიღურის ბეგი ახმეტ-ბეგ აბაშიძე და მისი ვაჟი.

ჩვენი ლაშქარი შეტევას განაგრძობს.

## ქრონიკა

◆ **ახაალციხის ფრონტი.** ახალციხიდან პოლკ. [illegible]შვილი სახალ. გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებს: „8 აპრილს მე-6 პოლკმა დეგურში ხელთ იგდო საწყობი ტყვიისმფრქვეველები: 2 მაქსიმის, 2 კოლტის და 1 ლუისის სისტემისა; 25 ვინტოვკა, 13 ყუთი საარტილერიო ყუმბარებით; 6 ყუთი საარტილერიო ყუმბარებით, და აუარებელი თოფის ტყვიები.

◆ **ბათუმში.** ბათუმიდან ჩამოსული შემდეგს მოგვითხრობს: გენერალ-გუბერნატორის მიერ, გაზეთ „ბატუმსკი ვესტის“ დახურვამ დიდი პროტესტები გამოიწვია. სამშაბათს 8 აპრილს ყველა დაწესებულებათა მუშებმა საპროტესტოდ ერთი დღით გაფიცვა გამოაცხადეს.

◆ **გაფიცვის შესახებ,** ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ქალაქის საბჭომ თავის დადგენილება ბოლომდე მიიყვანა. გაფიცულნი დაითხოვეს და ახალი შტატის შედგენას განაგრძობენ. იღებენ ძველ მოსამსახურეებს, თუ ისინი თხოვნას შეიტანენ, როგორც ახლებს.

◆ **ექიმთა კრება** ორშაბათს 7 აპრილს საღამოს მოხდა კრება ქალაქის საავადმყოფოთა ექიმ ფერშლებისა. კრებამ დაადგინა კოლექტიურად დასტოვონ სამსახური და არც ერთმა თხოვნა არ შეიტანოს. დადგენილებას მხარი არ დაუჭირა რამოდენიმე ექიმმა.

◆ **საქმეების ჩაბარება.** ამ დღეებში ძველი მოსამსახურენი აბარებენ საქმეებს ახალ შტატს. ამგვარად მოხდა გაფიცვის სრული ლიკვიდაცია.

◆ **მილიციონერისა და გვარდიელის მოკვლა.** 8 აპრილს საღამოს 10 საათზე 1 კომისარიატის მილიციონერ ი. ჩიკორიძემ და სახალხო გვარდიელ გ. თათუნოვმა ბელინის ქუჩაზე დაატუსაღეს ვიღაც მძარცველი ოფიცრის ტანისამოსში. კომისარიატში შესვლის დროს ბოროტ-გამზრახველმა იძრო რევოლვერი ჯიბიდან და მოჰკლა მილიციონერი და სახალხო გვარდიელი და გაიქცა. ბოროტ-გამზრახველმა პალტო გაიძრო და გადააგდო. პალტოში აღმოჩნდა მოწმობა ქართულ ლეგიონის შტაბს კაპიტან-ქურდოვანის სახელზე.

◆ **ლტოლვილთა მდგომარეობა.** ბორჯომსა და მის მიდამოებში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან დიდძალ ლტოლვილებს მოუყრიათ თავი (2200), აქედან 1500 ქართველია. ლტოლვილების მატერიალური მდგომარეობა აუტანელია. გახშირებულია ყვავილი და სხვა სახადი. სანიტარული დახმარებას არავინ უწევს. ახალციხეში, სადაც 5200 ლტოლვილი შეგროვდა, მდგომარეობა კიდევ უარესია. ისინი ავადმყოფობითა და სიმშილით იხოცებიან. ადგილობრივ კომიტეტს საშუალება არა აქვს, ლტოლვილთ დახმარება აღმოუჩინოს. აუცილებლად საჭიროა ლტოლვილთა თავიანთ ადგილებში დაბრუნების დაჩქარება.

◆ **ქალაქის გამგეობა** იწვევს ექიმებს, ფარმაცევტებს, ფერშლებს, ფერშალ ქალებს, ბებია ქალებს, დაბალ მოსამსახურეთ და ავადმყოფთა მომვლელებს (სიდელკა) შესაფერ ალაგების დასაკავებლად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქალაქის გამგეობის საექიმო-სანიტარულ განყოფილებას.

## სამხატვრო ქრონიკა.

**კონკურსი.** ქართული სამუსიკო საზოგადოება ამით აცნობებს, რომ 26 მაისს სრულდება წლის თავი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ დღისათვის იწერება განსაკუთრებითი კანტატა. ვინც ორგინალურ საუკეთესო ლექსს წარმოადგენს მას ჯილდოთ მიეცემა 500 მანეთი. ვინც უკვე დაწერილ ლექსს შეურჩევს მას 100 მან. ვადა განსაზღვრულია ერთი კვირით. მისამართი: ქ. თბილისი, სლეპცოვის ქუჩა № 4. ქართ. სამუსიკო საზოგადოება.

**ხელოვანთა კრება.** დღეს, 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, საადგილმამულო ბანკის შენობაში დანიშნულია შეერთებული კრება ხელოვან საზოგადოების წარმომადგენლებისა. უწყებები დაგზავნილია. დასწრება სავალდებულოა.

**„მეოცნებე ნიამორები“.** პარასკევს, 11 აპრილს გამოვა მეორე ნომერი ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებისა“. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ გრ. რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტ. ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალ. გაფრინდაშვილი, ალ. ცირეკიძე, ნ. მიწიშვილი, სერგ. კლდიაშვილი და სხვ. ამავე დღეს გამოვა ახალი წიგნი „სტეფან მალლარმე“. ორივე გამოცემა იბეჭდება ვატმანის ქაღალდზე.

## პროვინციის ცხოვრება

**ახალციხე.**

თითქმის თვე გავიდა რაც ქართველ ჯარმა აწყვერიდან ვიდრე ქვაბილონის ფოცხოვის არემდე, მაჰმადიანთა აჯანყებული სოფლები უკანვე დაიბრუნა.

— ორი თვეა თბილისიდან ჰაეროპლანიც გვესტუმრა. დაფრინავს იმ ადგილებზე სადაც წინად ბრძოლა იყო. როგორც გავიგეთ ფოცხოვში მისთვის სროლა აუტეხიათ.

— როგორც ფოცხოვის ისე ლეპისის საზოგადოებაში სიმშვიდე ჯერ კიდევ არ არის. ადგილობრივ მაჰმადიანებისაგან შეშინებული არიან მეტადრე ზედა-თმოგველები და გოგაშენელები, რომლებიც მზად არიან ახალციხეშივე დაბრუნდნენ. მთავრობამ მათ დარაჯები დაუყენა.

## სომხეთის საზავო კონფერენციაზე

**სომეხთა მოთხოვნილებანი.**

(„Temps“ ი 1919 წ. თებერვლის 27).

სომეხთა დელეგატები, რომელთა განცხადებაც უკვე მოისმინა მოკავშირეთა საბჭომ, თავის პრეტენზიებს არა ჰფარგლავენ მხოლოდ სომხურ ტერიტორიით, და პრეტენზიას აცხადებენ იმ მეზობელ მაჰმადიანურ ტერიტორიაზედაც კი სადაც ცოტად თუ ბევრად სომხური ახალშენებია..

ბი აჰარონიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებანი:

სომხეთის ეროვნულ საბჭომ 1918 წელს, მაისის 27 გამოაცხადა სომხეთის დამოუკიდებლობა. მოვიწვიეთ პარლამენტი, შესდგა მთავრობა და ეროვნულ საბჭომ თავისი უფლებანი მათ გადასცა. დღეს რესპუბლიკის ტერიტორიას უჭირავს 60000 კვ. კილომეტრის სივრცე. ინახავს 2 მილიონ მცხოვრებს და 30—40 ათასიან ლაშქარს...

ფაქტიურად სომხები მსოფლიო ომის პირველ დღიდანვე ჩაებნენ ბრძოლაში, როცა უარჰყვეს თურქების წინადადება და მოკავშირეთა მხარეზე გადავიდნენ.

სომხის ხალხი დიდ სასოწარკვეთილებას მიეცა როცა დაინახა რომ საზავო კონფერენციაზე მისი წარმომადგენელი არ დაუშვეს.

ამისათვის ჩემი მთავრობა გვავალებს დელეგატებს რომ პირველად ყოვლისა მოვითხოვოთ:

1. ბრძოლით მოპოვებული სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

2. რესპუბლიკის წარმომადგენლის კონფერენციაზე დასწრების უფლება.

რაც შეეხება სხვა მოთხოვნილებებს, ეროვნულ უფლებებით დამტკიცებულს მოვითხოვთ:

1) დამოუკიდებლობას გაერთიანებული სომხეთისას, რომელშიაც შევლენ სომხეთი და ოსმალეთის სომხური ნაწილების.

ზემოხსენებული სახელმწიფო იქნება ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ, ხოლო ამ გარდამავალ ხანაში ერთ რომელიმე დიდ სახელმწიფოს პროტექტორატში.

2) რომ სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელი იყოს, იგი საჭიროებს გასავალს ზღვისაკენ უამისოდ ჩვენ მდგომარეობაში მყოფი ერი, რომელიც გარშემორტყმულია დასავლეთის კულტურის მოძულე ელემენტებით, ვერ შესძლებს ეკონომიურ კულტურულ განვითარებას.

—

ამ საკითხს გაზეთი „ტემპს“ 27 თებერვლის ნომერში უძღვნის მეთაურ წერილს: წერილს სათაურად აქვს „სომხეთის იმპერია“.

აღნიშნავს რა იმ უბედურებას, რომ ლებიც თავს დაატყდა სომხის ხალხს მსოფლიო ომის დაწყებიდანვე „ტემპს“ იძლევა კითხვას:

„რამდენი სომეხი დარჩა ოსმალეთში? ბრაისის მოხსენების თანახმად ოტომანის იმპერიის სომხობა 1915 წლის ხოცვა-ჟლეტამდე შეადგენდა საერთოდ 1.600,000-დან 2,000,000-დე სულს. ამ რიცხვიდან 1,000,000 და 1,200,000 სულამდე განდევნილ იქმნა. დაახლოვებით ნახევარი ამ განდევნილებისა დაიღუპა. შედეგად ვიღებთ დაახლოვებით სამ ერთნაირ ნაწილს: 600,000 სულამდე გადარჩა განდევნას, 600,000 სულამდე განდევნილებისა გადაურჩა სიკვდილს, დანარჩენები დახოცილ იქმნა ანდა გასწყდნენ შიმშილისაგან. ექიმი ლეპსიუსი ამ სტატისტიკის შესახებ იმავე დასკვნამდე მიდის, რასაც ადგია ბრაისი თავის მოხსენებაში. ამერიკის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა სომხეთის დახმარება, აცხადებს, რომ დაღუპულთა რიცხვი უდრის 600,000 სულიდან 850,000 სულამდე. სომხეთის დელეგაცია, რომელიც გუშინ მოსმენილ იქმნა, ამტკიცებს თავის მემორანდუმის დამატებით შენიშვნებში, რომ ომამდე ოსმალეთში სომხების რიცხვი უდრიდა 2,000,000 სულზე ცოტა მეტს და რომ „ამ ომის დროს დაიღუპა 1,000,000 სულზე მეტი სომეხი“. მაშასადამე ნამდვილად გადარჩენილთა რიცხვი არ აღემატება იმ 1,200,000 სულს, რომელზედაც ლაპარაკობს ბრაისის მოხსენება. ამ რიცხვს სომხეთის დელეგაცია უმატებს იმ 1,800,000 სულს რომლებიც დასახლებული არიან წინანდელ რუსეთის ტერიტორიაზე კავკასიის სამხრეთში (ამათში 1,300,000 სული მოსახლეობას რუსეთის სომხეთში, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) და 823,000 სულს, რომლებიც გაფანტულნი არიან მთელ მსოფლიოში.

ამგვარად ამ გამოანგარიშებით ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სომხები მთელ დედამიწის ზურგზე შეადგენენ 4 მილიონ სულს, ამ რიცხვში 3 მილიონი სული მოსახლეობენ ოსმალეთისა და რუსეთის „სომხურ“ ოლქებში. ასეთია სომხეთის მდგომარეობა. მაგრამ სომხეთის დელეგაცია სამართლიანად შენიშნავს, რომ „გაგონილი უნდა იქნეს არა მარტო გადარჩენილ სომეხთა, არამედ მკვიდრების ხმაცო“. აგრეთვე მიღებულ უნდა იქნეს სახეში ისიც, რომ სომხები იბრძოდენ მოკავშირეთა საქმისთვის. რომელ ტერიტორიებს გულისხმობს სომხეთის დელეგაცია? ეს ტერიტორიებია რუსეთის და ოსმალეთისა. რუსულ ტერიტორიაში, რომელიც ეხლა გადაკეთებულია „კავკასიის სომხეთის რესპუბლიკად“, შედის მთელი ერევნის გუბერნია, თბილისის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი განჯის გუბერნიისა და ბოლოს ყარსის ოლქი, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მოთავსებულია არტაანის ჩრდილოეთით. ამგვარად სომხეთის სახელმწიფო დაახლოვებით მივა 30 კილომეტრით ბათუმამდე და დაიჭერს დაახლოვებით 150 კილომეტრს კასპიის ზღვიდან მტკვრის მთელ მიდამოებს, რომელიც მიდის თბილისიდან ბაქომდე. შიგ შეტანილი იქნება ძველი სპარსეთის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის მიერ იქნენ დაპყრობილნი, კერძოდ ნახიჩევანი.

„სომხეთის დელეგაციის მოთხოვნილებანი ოსმალეთში შეეხება შვიდ ვილაეტს: ვანი, ბითლისი, დიარბექირი, ხარფუთი, სივასი, ერზერუმი და ტრაპიზონი, ქურთების ოლქთა გამოკლებით, რომლებიც ტიგრის სამხრეთითაა მოთავსებული და ოსმალური ოლქების გარდა, რომლებიც მოთავსებულია ორდუსივის ხაზის დასავლეთით. ამას გარდა დელეგაცია მოითხოვს კილიკიას, რომელიც მიდის ხმელთაშუა ზღვამდე და სადაც შედის ორი ნავთსადგური: მერსინა და ალექსანდრეტტა. სომხეთის სახელმწიფო ამგვარად დაიკავებს მცირე აზიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს, ტავრიდან და სივასის მიდამოებიდან დაწყებული. მას გასავალი იქნება შავ ზღვაში ისევე, როგორც ხმელთა შუა ზღვაში.

„რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროებს, სომხეთის დელეგაცია წინასწარ შეუთანხმდა საბერძნეთის მთავრობას და ეს უკანასკნელი უარს იტყვის ამ სანაპიროებზე. რაც შეეხება კილიკიასა და ალექსანდრეტტს, იმ ოლქებს, სადაც საფრანგეთმა უნდა ითამაშოს ისტორიული როლი და განახორციელოს თავისი უფლებანი, სომხეთის დელეგაციამ მოთხოვნილებანი წამოაყენა საფრანგეთის მთავრობასთან წინასწარ შეუთანხმებლად. ეს გაკვრით უნდა აღინიშნოს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს მიუდგომლად გამოვიკვლიოთ ის მოთხოვნილებანი, რომლებთაც აყენებს სომხეთის დელეგაცია. საფრანგეთი თავის გულისათვის უნდა დარჩეს სამართლიანი და კეთილ მოსურნე. და სწორედ სამართლიანობის და მეგობრობის მოთხოვნილებანი გვაიძულებენ ჩვენ მივაქცევინოთ სომხებს ყურადღება მათი პროგრამის სუსტ მხარეზე. ჩვენ ვხედავთ, რომ სომხები უმცირესობაში არიან ექვს ოტომანის ვილაეტში. ერზერუმში, ბითლისში, ხარფუთში, დიარბექირში და სივასიაში. მხოლოდ ვანის ვილაეტში მათ ჰყავთ უმნიშვნელო უმრავლესობა: 185000 სომეხი მცხოვრებია 350,000 საერთო რიცხვში. საერთოდ კი 6 ვილაიეტში სულ ისინი შეადგენენ 3,89 პროც. მთელი მცხოვრებლებისა. მთელ კილიკიაში ისინი 407,000, იმ დროს როცა ერთი მხოლოდ ვილაეტ ადანაში არის 420,000 მცხოვრები. რაც შეეხება ტრაპიზონის ვილაეტს მათი მოთხოვნა განზრახული არ ჰქონდათ. ქარტა შემდეგ ცნობებს გვაძლევს იქ მცხოვრებთა შესახებ: ცენტრალურ ნაწილებში ითვლება 20,000 სომეხი, აღმოსავლეთ ნაწილში კი ისინი სულ 5000 არიან. სომხების ეს დაქსაქსულობა შედეგია წინანდელი დაპყრობებისა და დევნისა. ეხლა, როცა დგება თავისუფლების ხანა, უნდა მოისპოს ეს ბოროტება. უნდა შეერთდეს სომხობა მცირე ტერიტორიაზე, საცა ის კომპაქტურ მასსას შეადგენს, თუ უნდა დავადასტუროთ ის დაქსაქსულობა, როდესაც სომხობა გაფანტული და მუდამ უმცირესობაში იქნება დიდ ტერიტორიაზე? შეზღუდული სახელმწიფოს თუ დიდი იმპერიის არჩევის დროს, გუშინ სომხის დელეგატებმა აირჩიეს იმპერია. მაგრამ მათივე ინტერესისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს სხვაგვარ გადაჭრას“.

## საქართველოს საკრედიტო დაწესებულებანი *)

საქართველოს ტერიტორიაზე (თბილისის გუბ. ზაქათლის ოლქი, ქუთაისის გუბ., სოხუმის ოლქი ბათუმის თემი და არტაანის ოლქი ყარსის თემისა), იმ ნაწილის გარდა, რომელიც ოსმალეთს ეკუთვნის (ლაზისტანი), მოქმედებენ შემდეგი საკრედიტო დაწესებულებანი.

**ა) მოკლე ვადიანი სესხისა.**

(1918 წლის აგვისტოს და ენკენისთვის ბალანსების მიხედვით).

1) სამი საკომერციო ბანკი (ამიერ კავკასიის. კავკასიის და ვაჭართა ბანკი, რომელთა გამგეობა თბილისში იმყოფება. კავკასიის ბანკს აქვს განყოფილებები ქუთაისში და ბათუმში (უკანასკნელი დროებით გახიზნულია თბილისში) და სააგენტო ჭიათურაში. გარდა ამისა ფრიდონოვის საბანკო კონტორა ამ ახლო მომავალში უნდა შეიცვალოს საკომერციო ბანკათ, რომელსაც ეწოდება „კავკასია-ევროპის ბანკი“. ძირითადი თანხა ოთხივე ბანკისა დღეს 28.600 ათას მანეთს შეადგენს. მხოლოდ, რადგან ამ კაპიტალის რაოდენობის გადიდება უკვე გადაწყვეტილია, ძირითადი თანხა ოთხივ ბანკისა ამ მოკლე ხანში მიაღწევს 56 მილიონ მან. და სათადარიგო კაპიტალი მათი 10.950 ათასს მან. შემოტანილი ფული და სახელ-დახელო ანგარიშები გამგეობათა და მომქმედ განყოფილებათა და სააგენტოთა შეადგენს 54.000 ათას მან.; სააქტივო ოპერაციები (დისკონტი და სესხი) 48.480 ათას მან. აქტივის კორესპონდენტები 14.100 ათასი. პასივის 9.500 ათასი მან. ბანკის პროცენტიანი ქაღალდები: 14.950 ათასი მან., სხვა ბანკებისა მართებთ 7.150 ათასი მან., ბალანსი 140.780 ათასი მან.

2) ოცდა-სამი საურთიერთო ნდობის საზოგადოება: ხუთი თბილისში, ორი ქუთაისში და თითო: გუდაუთში, ბათუმში, ზუგდიდში, ყვირილაში, ოზურგეთში, ფოთში, სამტრედიაში, სენაკში, სოხუმში, ხონში, ჭიათურაში, ახალ-ქალაქში, ახალ ციხეში, გორში, სიღნაღში, სოჭში, და ლანჩხუთში. ბათუმის საზოგადოება დროებით გახიზნულია, ახალ-ქალაქისა და ახალციხისა დარჩენ ოსმალთაგან დროებით დაპყრობილ ადგილებში. გუდაუთის და სოჭის საზოგადოებათა შესახებ თანამედროვე ცნობები არა გვაქვს. 18 მოქმედ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებს 13.648 წევრი 4.470 ათასი მან. კაპიტალით; შეტანილი ფული და სახელდახელო ანგარიშები უდრის 27.740 ათას მან., სააქტივო ოპერაციები 23.900 ათას მან., დავალიანება მათი 610 ათას მან., ბალანსი 41.860 ათასი მან.

3) სამი განყოფილება რუსეთის სახელმწიფო ბანკისა: თბილისში, სოხუმში და ბათუმში; უკანასკნელი გახიზნულია თბილისში. თბილისის კონტორა განარიგებს მთავრობის კრედიტებს ხაზინების და სხვა დაწესებულებათა შორის. შეტანილი ფული და სახელდახელო ანგარიშები ორ მოქმედ განყოფილებაში შეადგენს 599.470 მან. ამ თანხიდან 546,090 მან. არის სახელმწიფო დაწესებულებათა კრედიტები. თუ ამ ანგარიშებიდან გამოვაკლებთ აქტივიდან რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო ბანკის ვალს 324.800 ათას მან. რომელიც მას მართებს თბილისის კონტორისა (ნორმალური ანგარიში ბანკისა 50.000 მან. და შესაფერს თანხას სახელდახელო ანგარიშების პასივიდან, მივიღებთ ნორმალურ ბალანსს 96.500 ათას მან. სახელდახელო ანგარიშებს 74.000 ათას მან, სააქტივო ოპერაციებს (დისკონტი და სესხი) 41.700 ათას მან.

4) შვიდი განყოფილება რუსეთის სხვა და სხვა სააქციონერო ბანკთა: ოთხი თბილისში (მოსკოვის სახალხო პეტროგრადის ხალხთა შორის, ვოლგა-კამის და აზოვ-დონის) ერთი, (ქუთაისში (აზოვ-დონის) და ორი ბათუმში (რუსეთ-აზიისა და შეერთებულის), ბათუმის განყოფილებანი გახიზნულია, ამათ გარდა არის ორი სააგენტო ერთი ქუთაისში (ვოლგა კამის) და ერთი ჭიათურაში (რუსეთ აზიისა) შეტანილი ფული და სახელ-დახელო ანგარიშები მოქმედ განყოფილებათა და სააგენტოთა შეადგენს 37.210 ათას მან.; დავალიანება მათი 13.000 ათასს და აქტივი (დისკონტი და სესხი (34.830 ათასს; ამ თანხიდან პროცენტიან ქაღალდებზე გაცემულია 14.720 ათასი მან. სალდო გამგეობასთან ანგარიშებისა პასივის სასარგებლოთ 11,920 ათასი მან.; ბალანსი 64.720 ათასი მან.

**საზოგადო ჯამი**

**მომქმედ მოკლე ვადიანი სესხის საკრედიტო დაწესებულებათა**

**ათასეული**

| | რიცხვი გამგეობათა, მათ განყოფილებათა და სააგენტოთა. | რიცხვი იმ დაწესებულებათა რომელთა შესახებ გვაქვს ცნობები. | კაპიტალი. | დისკონტი და სესხი. | შეტანილი ფული და სახელდახელო ანგარიშები. | დავალიანება. | ბალანსი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადგილობრივი საკომერციო ბანკები და განყოფილებანი. | 7 | 6 | 39550 | 48480 | 64000 | 7160 | 140780 |
| 2. საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი. | 23 | 18 | 4740 | 23900 | 27740 | 610 | 41860 |
| 3. რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებანი | 3 | 2 | — | 41700 | 74600 | — | 96500 |
| 4. რუსეთის საკომერციო ბანკების განყოფილებანი. | 9 | 7 | — | 34830 | 37210 | 13000 | 61220 |
| სულ | 42 | 33 | 44290 | 148910 | 203550 | 20770 | 343860 |

5) როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო, ის საკრედიტო დაწესებულებანი, რომელნიც მოქმედებენ ოსმალთაგან დროებით დაპყრობილ ადგილებში,— ზოგი გაიხიზნა და ზოგი ადგილობრივ დარჩა; ამათ შესახებ მართალი ცნობები არ გვაქვს, ესენია: სამი საურთიერთო ნდობის საზოგადოება (ბათუმის, ახალციხის, ახალქალაქის) და ოთხი საკომერციო ბანკების განყოფილება ბათუმში (რუსეთის სახელმწიფოს, კავკასიის, რუსეთ აზიის და შეერთებულის), არა გვაქვს აგრეთვე საჭირო ცნობები გუდაუთის და სოჭის საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა ანგარიშების შესახებ.

6. საქართველოს ტერიტორიაზედ მოქმედებს (გადასახადთა ინსპექტორების ცნობებით) 415 წვრილი კრედიტის დაწესებულება (საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი).

**ბ) საიპოთეკო ბანკები**

(სამინისტროს ცნობების მიხედვით).

საქართველოს ტერიტორიაზედ ხუთი საიპოთეკო ბანკია: სამი ადგილობრივი: თბილისის საადგილ-მამულო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და თბილისის საკრედიტო საზოგადოება, და ორი განყოფილება: რუსეთის სახელმწიფო სააზნაურო და რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკებისა. ჯამი ამათგან გაცემულ სესხისა შეადგენს 95.000 ათას მანეთს.

**იას. ლორთქიფანიძე**

„1918“ წელს დეკემბერი

*) ეს ცნობები შეკრებილია საზოგადო დელეგაციის მონდობილობით.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**9 აპრილი.**

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** (ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი). ატამან გრიგორიევის ჯარმა ადესის დაჭერის დროს ხელთ იგდო მრავალი სამხედრო დავლა და მრავალი ტყვე წამოიყვანა. მცხოვრებნი ზეიმით ხვდება საბჭოთა ჯარს, რომელმაც მოხალისეთა ბრბოები მოაშორა ქალაქს.

**სამხედრო ცნობა,** 7 აპრილი. დასავლეთის ფრონტი, დებალცოვის რაიონი, მოწინაამდეგემ შესძლო მდ. ნარვის რაიონში წითელი ჯარის ნაწილების შევიწროვება. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელი ჯარის შეტევა გრძელდება. გაილუშის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლაა. მიტავის რაიონი. მოწინაამდეგის ცდამ გადალახა მდინარე აა, უნაყოფოთ ჩაიარა. ვილენის რაიონი: გერმანელებმა ბრძოლით დასტოვეს დაბა ორანი. სამხრეთის ფრონტი. დონეცის რაიონი. ბახმუტის სამხრეთ დასავლეთით სადგური დუროხოვკა დავსტოვეთ. აღმოსავლეთით სად. გორლოვკა დავიბრუნეთ. იუზოვის ჩრდილოეთით ვერხოვკა და სად. პეტროვენკა დავიჭირეთ. დამატებითი ცნობების თანახმად სად. პოსუდას დაჭერის დროს ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეთ წამოვიყვანეთ მრავალი. ლუგანის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ ნიკოლაევკა დავიჭირეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. ბელებეის რაიონი. 7 აპრ. ჩვენმა ჯარმა ბელებეი დასტოვა და 5 ვერსით დაიხია. ბუგულმინის რკინის გზის ორივე მხარეზე ბრძოლა გრძელდება. მენზელენის რაიონი. ბრძოლის შემდეგ იურტოვკა დავსტოვეთ. სარაპულის რაიონი. კომბარსკის ქარხნის სამხრეთ დასავლეთით მოწინააღმდეგემ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. მდ. კამის მარცხენა მხარეზე ჩვენი ჯარი იხევს. ვოტკინის-რაიონი. ჩვენმა ჯარმა ტვიზიცი დაიჭირა. ჩრდილოეთით ბრძოლით შარტანი დავიჭირეთ. პერმის რაიონში ბრძოლაა.

**ეკატერინოსლავი,** აპრილის 7. წითელმა ჯარმა მარიუპოლის მანდრიკინის დაჭერის დროს ხელთ იგდო 6 მილიონი ფუთი ნახშირი და 50,000 ფუთი კოქსი.

**ნაუენი,** აპრილის 7. ბავარიის ცენ. კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა: ბავარიის მშრომელი ხალხი შინაურ უთანხმოებას გაუმკლავდა და გაერთიანდა ძალადობის და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო იღებს თავის ხელში ძალა-უფლებას; დანტაგი გაუშვეს და მინისტრების ადგილზე დაინიშნებიან ხალხის რწმუნებულები და სახალხო კომისარები. სამრეწველოები შრომის და მრეწველობის კომიტეტის კანტროლ ქვეშ იქნება. ყველაფერი კომუნას ეკუთვნის, ამიტომ არავითარი თვითნებური სოციალიზაცია დაშვებული არ იქნება. 7 აპრ. ცენტრალურ დღესასწაულათ გამოაცხადეს. მუშაობა ამ დღეს აკრძალულია.

**ბუდაპეშტი,** აპრ. 8 მიუნხენიდან იუწყებიან, რომ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ქარხნების კომიტეტების წევრების ხელ-ახალი არჩევნები მოხდეს, შემდეგ კი დაუყონებლივ იქნას მოწვეული საბჭოთა ყრილობა. დღეს და არჩევნების წესრიგს ამ დღეებში გამოაქვეყნებენ. ბავარიის პირველი ქვეითი პოლკი მოითხოვს, რომ მას როგორც ბავარიის წითელი ჯარის პოლკს, დაავალონ პროლეტარული რევოლიუციის დაცვა. მიუნხენში სრული წესრიგია, დუქნები ჯერ დაკეტილია. ხდება მრავალრიცხოვანი კრებები.

**ნაუენი,** აპრ. 7. რურის ქვანახშირის რაიონის აჯანყებულმა მუშებმა განაცხადეს, რომ განაგრძობენ ბრძოლას მანამდე, სანამ მაღაროების სოციალიზაციას არ მიაღწევენ. კრუპის ქარხნის გაფიცვები მუშებმა გამოაცხადეს სამთო უბნის გაფიცულ მუშების თანაგრძნობის ნიშნათ.

**ლიონი.** აპრ. 7. ამერიკის რადიო იუწყება, რომ კვირას მოხდა საფრანგეთის სოციალისტების, 1914 წ. შემდეგ, პირველი საჯარო მანიფესტაცია. მოსჩანდა ასობით წითელი დროშა. მანიფესტაციის მოწვევის მიზეზი, რომელმაც დიდი ხალხი მიიზიდა, იყო ჟორესის მკვლელის განთავისუფლება. პროცესია, რომელიც გამართა ტროკადიროდან ჟორესის სახლისკენ, მიდიოდა 3-დან 6 საათამდე.

**ნაუენი.** აპრ. 6. პარასკევს სპარტაკელებმა შტუტბარტის ახლო გორაკები დაიჭირეს, თხრილები გააკეთეს და ტყვიის-მფრქვეველები დასდგეს.

**ბუდაპეშტი.** აპრ. 7. ბუდაპეშტში სურსათის შემოზიდვა წესიერათ მიმდინარეობს.

**მელიტოპოლი.** აპრ. 7. წითელი ჯარი ჩონარის და სივაშის ხიდით ყირიმის ტერიტორიაზე შევიდა. თეთრ-გვარდიელები დჟანკოსოსკენ იხევენ ჩვენ მხარეზე გადმოსულების სიტყვით აჯანყებულ ყაზახებსა და ოფიცრებს და თეთრ-გვარდიელებს შორის ბრძოლა იყო ზურგში.

**ნოვო-გოროდი.** აპრ. 7. ნოვოგოროდის პროფესიონალურ კავშირების საბჭოებმა ილმენში გაგზავნეს მუშათა წარმომადგენლები დაჭერილ თევზების რაოდენობის გამოსარკვევად და საკანტროლოთ.

**ეკატერინოსლავი.** აპრ. 7. პავლოგრადში მოხდა ღატაკთა კომიტეტის ყრილობა. ყრილობას 98 დელეგატი დაესწრო.

**ჰელსინგფორსი.** აპრ. 7. ესტლიანდიის თეთრმა მთავრობამ ხელმეორეთ მიმართა ფინლიანდიას თხოვნით დაეხმაროს. ესტლიანდიას სულ არ აქვს თავის ძალების იმედი.

**ლიონი,** აპრ. 7. საზავო კონფერენციაზე უთანხმოებაა. მოლაპარაკებამ რთული ხასიათი მიიღო. თუ რამოდენიმე დღეში შეთანხმება არ მოხდა, იმ შემთხვევაში მთელ ქვეყნის მიმართ გამოშვებულ იქნება მოწოდება, რომელშიაც მოკავშირენი პასუხისმგებლობას ერთი მეორეს დააბრალებენ.

**ვარშავა,** მარ. 30. მემამულეებსა და მიწის მუშების ხელშეკრულების განახლებასთან ერთად პოლონეთში მიწის მუშების გაფიცვები დაიწყო. მუშათა მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ. უმუშევართა შიმშილი მშრომელთა კლასში გახშირდა.

**სტოკჰოლმი,** აპრ. 5. სერბიის მუშათა ორგანიზაციამ გაფიცვები გამოაცხადა უნგრეთის მთავრობასთან სოლიდარობის ნიშნად.

**ჰელსინგფორსი,** აპრ. 6. ჩრდილოეთ ფინლიანდიაში შიმშილობაა.

**ქრისტიანია,** აპრ. 6. ნორვეგიის მუშათა ორგანიზაცია მოითხოვს მთავრობის გადადგომას. ხდება მიტინგები და დემონსტრაციები. სოციალისტური პარტიები მოუწოდებენ მუშებს შეკავშირდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**მოსკოვი** აპრილის 7. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. **სამხედრო ცნობა.** ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. სამხრეთის ფრონტი. იუზოვის რაიონში ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს სადგურ... (დამახინჯებულია)

დასაჭერათ. ჩრდილოეთის ჩვენმა ჯარმა სადგური ოზერეტი დასტოვა. ბახმუტის რაიონში ნოვობახმუტოვკა დავიჭირეთ. სადგურ გორლოვკის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. სადგურ დებალცევოს რაიონში სადგ. ჩერნიჩინი დავიჭირეთ. ლუგანის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და სადგური გრიგოროვკა და სოფელი ეკატერინოვკა დაიჭირა. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონში მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ორსკის რაიონში ახალი პოზიცია დავიჭირეთ. მენზელინის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. სარაპულის რაიონში კამბარის ქარხნის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ № ომ—ინის რაიონში მდინარე კამის მარჯვენა ნაპირთან მოწინააღმდეგემ უკან დაგვახევია. პერმის რაიონში რკინის გზის ჩრდილოეთით, ჩვენი შეტევა გრძელდება. მდინარე ვიატკის სათავესთან კირსინსკის ქარხნისკენ დავიხიეთ. **უკრაინის საბჭოთა ჯარმა აიღო ...ა.**

**ბუდაპეშტი.** აპრილის 5. ბელა კუნმა ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოში შემდეგი განაცხადა: ამ ჟამად მოვიდა და ბუდაპეშტში იმყოფება გენერალი სმიტსი. ის მოვიდა როგორც დიპლომატიური წარმომადგენელი უნგრეთის საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ეს ფაქტი მოწმობს მას, რომ უნგრეთის მთავარ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი და მას სცნობენ მოკავშირენი.

მოლაპარაკებას მეგობრული ხასიათი აქვს. მოკავშირენი გვარწმუნებენ, რომ არა აქვთ სახეში არავითარი მტრული თავდასხმა უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე. გენერალ სმიტსმა სიამოვნებით მიიღო ჩვენი წინადადება, რომ პარიზის კონფერენციასთან ერთად ავსტრია-უნგრეთის მონარქიის საზღვრებში აღმოცენებულ სახელმწიფოების წარმომადგენლები შეიკრიბონ კონფერენციაზე ვენაში, ან პრაგაში. ჩემი წინადადების თანახმათ ამ კონფერენციაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის, გერმანულ ავსტრიის რესპუბლიკის, სამხრეთ-სლავიანების სამეფოსი, რუმინიის სამეფოსი და სლოვაკელების საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მიზანი კონფერენციისა უნდა იყოს პოლიტიკური საზღვრების საკითხის მოწესრიგება და სხვა საკითხების განხილვა. სმიტსთან მოლაპარაკება ჯერაც არ დასრულებულა. ბუდაპეშტის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების კომისარის განკარგულებით სწავლა უფასო იქნება. უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ იტალიის პროლეტარიატისაგან დეპეშა მიიღო, სადაც მიესალმებიან უნგრეთში კომუნისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებას და პროტესტის აცხადებენ მოკავშირეების მიერ უნგრეთისა და რუსეთის საქმეებში ჩარევის გამო.

**ბუდაპეშტი,** აპრ. 5. ვენის 1200 მუშა მოვიდა ბუდაპეშტში უნგრეთის ჯარში ჩასაწერათ. ვაშას ძახილით ისინი ყაზარმებისაკენ გაემართენ.

**პარიზი,** აპრ. 5. კვირისათვის დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა სოციალისტების საპროტესტო დემონსტრაცია ჟორესის მკვლელის განთავისუფლების გამო.

**ნაუენი,** აპრ. 5. ვაუსბერგში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს მიერ მოწვეულ მიტინგზე მიიღეს რეზოლიუცია რუსეთისა და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკებისადმი ძმური განწყობილების შესახებ. საყოველთაო გაფიცვა პარასკევს დილით დაიწყო. არეულობა არ მომხდარა. ბავარიის მთავრობა მაღაროების, ბინების სამრეწველოების, საქსოვი მრეწველობის და სურსათის სოციალიზაციას ახდენს. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა იმუშავებს გეგმას პრესის ნაციონალიზაციის შესახებ, რაც არა სოციალისტურ გაზეთების მხრივ პროტესტს იწვევს.

**ბუდაპეშტი,** აპრილის 7. რადიო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და ლენინის მოსკოვში. ბავარია საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადდა. რევოლიუციონური მუშები, გლეხები და ჯარისკაცები გაერთიანდენ და პროლეტარიატის დიქტატურა განახორციელეს იმ მიზნით, რომ შექმნან სოციალისტური კომუნისტური საზოგადოება. სდგება წითელი ჯარი. ჩვენ მონათესავე მოკავშირეებს უძღვნით ჩვენს პირველ სალამს.

**ვარშავა,** აპრილის 3. გუშინ ელექტროტეხნიკის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. ქალაქი სიბნელეში დარჩა.

...იზრდება. მთავრობის ჯარი აჯანყებულთა მხარეზე გადადის.

**პარიზი,** აპრილის 3. საფრანგეთის სენატმა მოიწონა პროექტი მობილიზაციის შესახებ.

**კიევი,** აპრილის მარიუპოლის ნავთსადგურში საბჭოთა ჯარმა ხელთ იგდო სამი მილიონი და და 3,00,000 ფუთი ნახშირი. საფრანგეთის ესკადრა შავ ზღვაში წავიდა. დაიწყეს ნახშირის გაზიდვა. ორ დღეში 400000 ფუთი გაიზიდა.

**№-ის არმიის შტაბი.** აპრილის 6. პერეკოპის საქმეები დასრულდა. ყირიმისკენ გზა გახსნილია.

**კიევი,** აპრილის 4. კომ. პარ. ც. კ. დადგენილებით ყველა პარტიის წევრების მობილიზაცია გამოცხადდა. ვინც უარს იტყვის პარტიის დადგენილებაზე, დაუყოვნებლივ გამოირიცხება პარტიიდან.

**დვინსკი,** აპრილის 5. ლიბავაში მუშათა აჯანყება დაიწყო. თეთრგვარდიელების მიერ გაწვეულნი ფრონტზე იგზავნებიან საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ. საარტილერიო ბრძოლაა.

**სიმფეროპოლი.** მუშათა დახვრეტის გახშირების გამო პროტესტის ნიშნათ ყირიმის კაბინეტიდან გამოვიდა პლეხანოვის მიმდევარი ბობროვსკი და ესერი ნიკონოვი.

**ნაუენი,** აპრილის 6. რურის ოლქში მუშათა აჯანყება იზრდება. კრუპის ქარხნის მუშების კრებამ გადასწყვიტა საერთო გაფიცვები დაიწყოს.

**მოსკოვი,** აპრილის 7. ნაუენის რადიოს ცნობა, რომელიც შეიდემანის მთავრობა გამოუშვა, სდილობს დაამახინჯოს ბავარიის ამბები. შეიდემანი გადმოგვცემს, რომ ბავარიის გაფიცვებს სერიოზული ხასიათი არა აქვს, რომ ბავარიაში სდგება ლანტაგი და ბავარიის მუშათა დი გლეხთა მთავრობამ გადასწყვიტა ახალი საბჭოთა რესპუბლიკა დაარსოს რუსეთის და უნგრეთის გვარათ. ბავარიაში პროლეტარული რევოლიუციის დაწყების და საბჭოთა ჯარის მიერ ადესის აღების გამო, დიდი სიხარულია.

**№-ის არმიის შტაბი.** წითელ არმიელებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს.

## ფრანგული პრესა

„მეტცი" 1 აპრილი 1919 წ. ლორენის საბჭოს თავმჯდომარე-საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პარიზში: ანექსიის ქვეშ მყოფ ლორენის საბჭოს წევრნი ბედნიერნი არიან, რომ მეტცის პრეფექტურის სახელით, რომელიც კვლავ ფრანგული გახდა, მიესალმოს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და გამოსთქვამს მისდამი ერთგულების, ღრმა პატივისცემის გრძნობას და თავისი განუსაზღვრელ სიხარულს იმ შეგნების გამო, რომ ისინი კვლავ ახლო არიან საფრანგეთთან.

კოლმარი, 5 აპრილი 1919 წ. რესპუბლიკის კომისარი კოლმარიდან-რესპუბლიკის პრეზიდენტს პარიზში: ზემო რეინის საერთო საბჭო, საფრანგეთის ეგიდის ქვეშ პირველათ გაერთიანებული, ერთხმად მიმართავს რესპუბლიკის პრეზიდენტს და გამოსთქვამს დიდ მადლობას გერმანიის მონობისაგან ელზას-ლორენის განთავისუფლების გამო."

### პადარევსკი პარიზში.

კვირას პარიზში ჩამოვიდა პადარევსკი. ჩამოსვლისთანავე მუშაობას შეუდგა და განაახლა ურთიერთობა პოლონეთის ყველა დიპლომატიურ და სამხედრო წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმისა, რომ პადარევსკის ბევრი სამუშაო ჰქონდა, მან უარი არ სთქვა „ტან"-ის თანამშრომლობაზე. საუბარზე, პადარევსკიმ სთქვა, რომ ამ ჟამათ პოლონეთისთვის 2 მთავარი საკითხი არსებობს: ეს არის დანცინგის და ტეშენის საკითხი. შემდეგ ის გადავიდა პოლონეთის აგრარულ საკითხსა სოციალურ რეფორმებზე.

მიწების დაყოფის საკითხი აინტერესებს გლეხთა დეპუტატებს, მაგრამ ისინი კომუნიზმისკენ არ იხრებიან". თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ მსხვილ სოციალურ რეფორმებს ჩვენ რევოლიუციონერები მაინც არა ვართ, ამბობენ ისინი. რეფორმები გატარდება თანდათანობით, ფრთხილათ და ამასთანავე რაც შეიძლება მალე.

**მოძრაობა ბაღდადის რკინის გზაზე.**

ქაირიდან მიღებულ ცნობებით ბაღდადის რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილია. ტაურუსზე ხიდი გაკეთებულია და ჰაიდარ-ფაშიდან წამოსული მატარებლები მიდიან ნასიბამდე. რომელიც მესოპოტამიაშია ქ. მოსულიდან 150 კილომეტრის მანძილზე. ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ რკინის გზის ლიანდაგი სპარსეთის ბ[illegible]ადის რკინის [illegible]ოს თამაშობ- და ომის დროს, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება ზავის შემდეგ. სირია-მესოპოტამიის ეკონომიური აღორძინება, ინდოეთსა და სპარსეთთან ურთიერთობის განვითარება, საგრძნობლათ გააძლიერებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ამ ქვეყნებს შორის. სომხეთის, თურქისტანის, სპარსეთის და მესოპოტამიის სიმდიდრე თავს მოიყრის ალექსანდრეტაში, რომელიც აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ნავთსადგურათ გადაიქცევა.

**ელზას-ლორენის განთავისუფლებისათვის.**

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლორენის საერთო საბჭოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის კომისარისაგან კოლმორიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

## მშობლებს და აღმზრდელებს

სახელმწიფოს შენების ხანაში იმ დროს, როდესაც უნდა განმტკიცდეს საფუძვლები თავისუფალ, დამოუკიდებელ რესპუბლიკისა, რომლის ფარგლებში თავისუფლად უნდა განვითარდეს ხალხის კულტურა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდ თაობის კულტურულ მოთხოვნილებასა და საჭიროებას, რადგანაც ისინი არიან მომავლის მოქალაქენი, რომელთაც უნდა ჰქმნან ჩვენი ერის ისტორია და კულტურა.

ნამდვილად კი ჩვენ ბავშვებს ძალიან ცოტა სულიერ საზრდოს ვაწვდით. ისინი ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი. იმათ ჭირისუფალთ, მოზრდილ ადამიანებს, სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და პირად საქმეებით გატაცებულთ, თითქოს დაავიწყდათ ბავშვები, თითქოს ვერ ჰხედავენ იმ საშიშარ მდგომარეობას, რომელსაც უმზადებს მომავალ სახელმწიფოსა და ხალხს მომავალ თაობის სულიერ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა.

მართალია არის ცდა, სასკოლო ცხოვრების მოწყობისა ნაციონალურ კულტურის განვითარების ნიადაგზე: იბეჭდება სახელმძღვანელოები, მუშავდება სწავლების პროგრამები, მაგრამ პატარა, არა სასკოლო ჰასაკის ბავშვებისა და სკოლის გარეშე ხალხის აღზრდა-განათლებისათვის თითქმის არაფერი არ კეთდება.

ჩვენ ბავშვებს არ შეუძლიათ სკოლის გარეშე მშობლიურ ენაზე მიიღონ საგულისხმიერო პასუხი, დაიკმაყოფილონ თავიანთი სულიერი მოთხოვნილებანი. მეტსაც ვიტყვით, საზოგადოთ არც აქვთ სულიერი საზრდო, რომელსაც შეეძლოს განავითაროს მათში მორალური და მოქალაქობრივი შეგნება.

სრულიად მიყუჩდა საბავშვო წიგნების გამომცემლობის საქმე, არ არის საბავშვო ლიტერატურა არც მხატვრული და არც პოპულიალურ-მეცნიერული.

ჩვენ გვესმოდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბავშვისთვის, სკოლის გარეშე მშობლიურ ენის ატმოსფერაში აღზრდა-განათლება და მშობლიურ კულტურის გაცნობა, როგორ საჭიროა მისთვის გაეცნოს და შეითვისოს მშობლიურ ენაზე კაცობრიობის კულტურა და ამ აზრით მთელი წლების განმავლობაში ვბეჭდავდით ჩვენ ჟურნალ „ნაკადულს" და იმის საშუალებით, შეძლებისდაგვარად პასუხს ვაძლევდით ბავშვების სულიერ მოთხოვნილებას.

ჩვენ გვესმის დღევანდელ მდგომარეობაში, ხალხის ცხოვრების იმ მომენტში, როდესაც ის ჰქმნის თავის სახელმწიფოს, რა დიდი და აუცილებელი საქმეა მომავალ მოქალაქეთა სულიერ საზრდოსთვის ზრუნვა და მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, დაბრკოლება კი ბევრია, განვაგრძობთ ჩვენ საქმეს.

შარშან, როდესაც ჩვენი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც კი ყოველ წუთს საფრთხე ელოდა, როდესაც ცხოვრების ყოველ დარგის განადგურებამ იჩინა თავი. ვერ დავძლიეთ ყველა სიძნელე, საქმის მთელი სირთულე და ვერ გადავლახეთ გამომცემლობის ყველა ტეხნიკური დაბრკოლებანი და ჟურნალიც დღეიდან გამოვა წესიერად, მაგრამ, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ მშობლები და აღმზრდელები გამოგვეხმაურებიან და მხარს მოგვცემენ.

მრავალი შეკითხვა მოდის ბავშვებისაგან ჟურნალის შასახებ. ბავშვებს აინტერესებს მათი ჟურნალის ბედი. ბავშვებისაგან წარმოდგენით შეგროვილი ფულიც კი მივიღეთ, მაგრამ მშობლების მხრივ კი ჯერ თანაგრძნობა არსაიდან სჩანს. ბავშვები მოუთმენლად ეძებენ სულიერ საკვებს, მშობლები კი მათ გულგრილად უცქერიან და სდუმან.

ჩვენ მივმართავთ ახლა მშობლებსა და აღმზრდელებს.

ჩვენ ბავშვებს სჭირიათ მეტადრე დღევანდელ ხანაში სულიერი საზრდო. ჩვენ ბავშვებს სწყურიათ ცოდნა. მთელი ხალხი დაინტერესებულია, რომ მომავალი თაობა სულით ძლიერი, ზნეობით სპეტაკი აღიზარდოს და თავის სამშობლოსა და კაცობრიობის სამსახური სავსებით შესძლოს.

ჩვენი ჟურნალი ამ დიდად საყურადღებო საქმეს შეძლებისადაგვარად უწევს სამსახურს და თუ თქვენ, მშობლები და აღმზრდელები, ნათლად გრძნობთ თქვენი შვილების, მომავალი თაობის ადამიანურ აღზრდის საჭიროებას, ამ შემთხვევაში ხელს შეუწყობთ ჩვენ საქმეს, ჩვენსა და თქვენს საერთო საქმეს დაეხმარებით. ყველა ჟურნალი მხოლოდ ხალხის ყურადღებით, ხელის მომწერთა სიმრავლით ცოცხლობს; ამ მხრივ კი ჩვენი საბავშვო ჟურნალი „ნაკადული" დღეს დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი.

ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

## სომხეთში

**ლითონი და იარაღი სომხეთისთვის.**

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი შუამდგომლობს საქართველოს მთავრობის წინაშე რათა მიეცეს სომხეთის რკინის გზისათვის ლითონისა და იარაღის, შეძენის უფლება თბილისის საჯაბადროში (არსენალი) და სხვა ქარხნებში.

**მაიორ ტემპერლეის გამოცვლა.**

„ამხატავორის" ცნობით ინგლისის წარმომადგენელი სომხეთში მაიორ ტემპერლეის მაგივრად მის ადგილზე დაინიშნა გენერალი მონტეგიუ დესოდები.

**სომხეთის წარმომადგენელი ყარაბაღში.**

სომხეთის მთავრობამ ყარაიაზში თავის წარმომადგენლად მ. არზუმიანი დანიშნა, მდივნად კი გ. ტერ-აღაიანი.

**ხ ო ლ ე რ ა.**

ერევანში ხოლერა გაჩნდა.ავად გახდა 5 აქედან გარდაიცვალა 3. მზრუნველობის სამინისტრომ სასწრაფო ზომები მიიღო.

ერევანში და საოლქო ცენტრებში მცხოვრებლებს პურს უფასოდ ურიგებენ.

**სომხის ლტოლვილები.**

სომხეთის კონსული ბათომში, ნატანებიდან ატყობინებს სომხეთის დიპლომატიურ მისიას თბილისში:

„დღეს თბილისიდან ჩამოვიდა 180 ლტოლვილი და ყველა მათგანი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

გთხოვთ აცნობოთ ეროვნულ საბჭოს ნულარ გამოგზავნის ლტოლვილებს ბათუმში, რადგან მათთვის არა გვაქვს არც ბინა, არც ფული და ორგანიზაცია. განმეორებითა გთხოვთ აცნობოთ პრესის საშუალებით ოსმალეთის სომხებს რომ კონსტანტინოპოლისკენ მგზავრებს არ უშვებენ. ნოვოროსიასკში. ყირიმში და ოდესაში უფასოდ არავინ არ მიჰყავთ.

## მუნიციპალური ცხოვრება

**ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომის წესრიგი.**

ქალაქის გამგეობამ 6 აპრილის სხდომაზე შეიმუშავა ქალაქის საბჭოს მომავალ მორიგი სხდომის წესრიგი, რომელსაც წარუდგენს საბჭოს პრეზიდიუმს. გამგეობამ ამ წესრიგში მოაქცია სხვათა შორის გამგეობის შედგენილობის შევსება გამგეობის ორი ახალი წევრის არჩევნით, გამგეობის მოხსენება წყალზე ფასის მომატების შესახებ, გამგეობის მოხსენება ქალაქის სასაკლაოში საქონლის დასაკვლელი ფასის მომატების შესახებ, მოხსენება დასაკლავ საქონლის დაზღვევის შესახებ, მოხსენება საეპიდემიო გადასახადის შემოღების შესახებ და სხვა.

**გამგეობის წევრის არჩევის საკითხი.**

ამ ერთი თვის წინათ ქალაქის საბჭოს მიერ ქალაქის გამგეობის წევრათ ამორჩეულმა ბ. სიო ჰანტურიშვილმა უარი გამოუცხადა ამ თანამდებობის აღსრულებაზე, რადგანაც იგი ფინანსთა სამინისტროში რჩება სამსახურში. ამის ალაგას გამგეობის წევრათ სხვა პირს აირჩევენ მომავალ საბჭოს კრებაზე.

**ქალაქის გამგეობის მეექვსე წევრი.**

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა სოც.-დემ. ფრაქციამ გადასწყვიტა ქალაქის გამგეობის ხუთ წევრს მეექვსე წევრიც მოუმატოს, რადგანაც ხუთი წევრი ვერ ასდის მუშაობას.

**ელექტრონის სადგურების შეერთება.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეაერთოს ქალაქის ელექტრონის, სადგური, რომელიც ამ 10—15 დღის განმავლობაში დაიწყებს მუშაობას, ტრამვაის ელექტრონის სადგურთან და სათანადოთ შეამციროს მოსამსახურეთა შტატი.

## ლტოლვილები საქართველოში

თბილისში დაბრუნდა ახალციხიდან ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ბ. ბუკშტეინი და ვრცელი მოხსენება წარუდგინა კომიტეტს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე წარსადგენად. თვის მოხსენებაში ბ. ბუკშტეინი აღწერს, რომ ლტოლვილები ახალციხე ახალქალაქის მაზრებისა სრულიად სხვა პირობებში არიან ჩაყენებულნი დანარჩენ ლტოლვილებისაგან და საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და დახმარებას. ბორჯომში ამ ჟამათ სულ 2236 ლტოლვილს მოუყრია თავი მათ შორის ქართველები 1500 სული, სომხები 90, რუსები 46 და ბერძნები 600 სული. რუს ლტოლვილებს უკვე მიეცა ვაგონი სათბილობელი ბათომში წასასვლელად და საჭიროებენ მხოლოდ გზის ხარჯებს. ბერძენი ლტოლვილები თხოულობენ ყარსის ოლქში დაბრუნებას. სომხები კი საჭიროებენ დაუყოვნებლივ დაბრუნებას და გზის ხარჯებს. ბორჯომში არსებობს კომიტეტი, რომელიც დახმარებას უჩენს ლტოლვილებს.

სანიტარიის მხრივ ბორჯომი ძალიან დაქვეითებულა. სახადი მოსპობილა ბორჯომში, მაგრამ მძვინვარებს სუმ- ბათოვოში. მახლობ[illegible] შუალებით ბორჯ[illegible] ვილთათვის ბ. ბუკშტეინს მიაჩნია ლტოლვილთა ევაკუციამდე მიეცეთ მათ 1. 25 ფუთი პური მაინც დღეში 2. მიეცეს ბორჯომის კომიტეტს თუნდა 10 ფუთი შაქარი მაინც 3. დარჩეს ბორჯომის დამხმარე კომიტეტი ლტოლვილთა სრულიად წასვლამდე, 4. გაიგზავნოს 200 ურმამდე მაინც ლტოლვილთა გადასაყვანათ, 5. დაარსდეს აწყურში სასანიტარო პუნქტი, სადაც მიეცეთ ნადუღი წყალი და სუმბათოვოშიც დაარსდეს სამკურნალო საკვები პუნქტი. ახალციხის შესახებ მომხსენებელი სწერს, რომ ამ ჟამათ იქ 5200 სულ ლტოლვილებზე მეტია დაბინავებული, ამ რიცხვში 3500 ქართველი და 1655 სომეხი. მათი მდგომარეობა აუწერელია. გენ. კვინიტაძე სასწრაფო ზომებს იღებს მათ დასაკმაყოფილებლათ. დაუყოვნებელ ზომებათ ლტოლვილთა დასახმარებლათ მიაჩნია ლტოლვილთა 1) გამოკვება 10 დღით მაინც, ვიდრე დაბრუნდებოდენ. გამოკვებას დასჭირდება 150,000 მანეთამდე. 2) სამკურნალო სასანიტარო პუნქტის დაარსება სასწრაფო საშველათ 3) დახმარება ადგილობრივ კომიტეტს მათ გამოსაკვებათ.

ახალციხეში ამ აბასთუმნიდან ჩასულა სულ 150 სული ლტოლვილი, მაგრამ ისინი ისე დაავადებულან, რომ მათი დაბრუნება აბასთუმანში მოუხერხებელია. ახალციხეში მოქმედობს 2 კომიტეტი ქართველებისა და სომხების. დასასრულ მომხსენებელს უმთავრეს საშუალებათ მიაჩნია სათესლე პურის მიცემა. ლტოლვილნი ამ ერთ კვირაში იქნებიან დაბრუნებულნი!..

ბორჯომიდან აწყურამდე მინდვრის სამუშაოები უკვე დაწყებულა, იქით კი ჯერ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.


კვირას, აპრილის 13-ს, დილის 10 საათზე სახაიე

**ძმურ ნუგეშში**

დანიშნულია წლიური კრება. განსახილველი საგნებია: 1. ანგარიშების განხილვა, 2. არჩევნები გამგეობისა და 3. არჩევნები სარევიზიო კომისიისა.

1—2267—1


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ჰეჰელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—34


სტამბა კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4,